პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 25 აპრილი, 1942 წ. № 98 (6414). ფასი 15 კაპ.

უცხოელ კორესპონდენტთა მორიგ პრეს-კონფერენციაზე

23 აპრილს ქ. კუიბიშევში შესდგა პრეს-კონფერენცია, რომელზეც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს უფროსის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ პასუხი გასცა უცხოელ კორესპონდენტთა მიერ მიცემულ კითხვებზე.

ერთ-ერთი კორესპონდენტი შეეკითხა—ხომ არ შეგიძლიათ რაიმე ცნობები მოგვცეთ საბჭოთა რეზერვების შესახებო; ამაზე ამხ. ლოზოვსკიმ უპასუხა:

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ 1941 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში გერმანიის პროპაგანდის სამინისტრომ და პრესის განყოფილებამ არამცთუ მარტო „მოსპეს" საბჭოთა არმიები, არამედ დაეინებიათაც კი უმტკიცებდნენ გერმანელ ხალხს და მსოფლიო ადზოგადოებრივ აზრს, რომ საბჭოთა რეზერვები ამოიწურაო,—მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ მთელი ამბები, 1941 წლის 6 დეკემბრიდან დაწყებული, ისეთ სასწაულს წარმოადგენს, რომლის ახსნაც შეუძლებელია. მაგრამ ეინიდან სასწაულების დრო წავიდა, აქედან ის გამომდინარეობს, რომ გიბელსი და ფიტრიხი პირდაპირ სტყუოდნენ იმისათვის, რომ თავი ეხუბეგუბინათ და დეზორიენტაცია შეეტანთ გერმანიის მოსახლეობაში, თუმცა გერმანია საზარბაზნე ბორცის ამოქაჩვის ახლენს იტალიიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან, ფინეთიდან და სლოვაკიიდან, მაგრამ გერმანიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ იგი ყოველივე ღონეს ხმარობს, რათა ინიციატიური ინიციატივა ჰიტლერელებმა გადასწყვიტეს ბოლომდე მიიყვანონ საფრანგეთის არაოკუპირებული ნაწილის ფაშიზაცია და ეიშის ცრუ მთავრობის სათავეში დააყენეს თავიანთი პირდაპირი, ასპროცენტიანი აგენტი ლავალი, რომელიც არაფერს არ მოერიდება იმისათვის, რომ თავის გერმანელ ბატონ-პატრონს ათმოს. ამ პირობებში უკვე არავის არ მოუკვიდავს ზრდა ლაპარაკი ეიშის რაღაც დამოუკიდებელი მთავრობისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის შესახებ. ეიშის „დამოუკიდებლობის" ფიქცია გამომეღავნებული და ლიკვიდირებულია.

პასუხად ერთერთი კორესპონდენტის წერილობითი შეკითხვისა, ხომ არ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ანტიფაშისტური კომიტეტების მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებო, ამხ. ლოზოვსკიმ შემდეგი განაცხადა:

ამჟამად სსრ კავშირში შემდეგი 5 ანტიფაშისტური კომიტეტი არსებობს: 1. სრულიად-სლავთა კომიტეტი, 2. საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი, 3. საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი, 4. მეცნიერთა ანტიფაშისტური კომიტეტი და 5. ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტი. ყველა ეს კომიტეტი წარმოიშვა სსრ კავშირზე ჰიტლერის ვერაგულ თავდასხმასა და ფაშისტ მფარველობთა იმ გიჟურ კოგემბინთან დაკავშირებით, რომ იარაღის საშუალებით დაიმონჩინონ მთელი მსოფლიო.

ჰიტლერმა მიზნად დაისახა მოსპოს სლავთა ნაწილი, მეორე ნაწილი კი მონებად გადაექცეოს. გასაკვირველი არ არის, რომ სლავი ხალხები ერთიანდებიან, რათა მოსპონ ჰიტლერი, მისი ხროვა და მის მიერ შექმნილი სისტემა.

ჰიტლერმა გერმანიასა და სხვა ქვეყნებში უკვე დააქვრივა მილიონობით ქალი, მან ქალებს წაართვა მილიონობით შვილი და სურს უსიტყვო მონებად აქციოს ქალები. საკვირველი არ არის, რომ მთელი მსოფლიოს ქალები ერთობლივი ბრძოლისათვის ერთიანდებიან იმათ წინააღმდეგ, ვინც დამწაბავეთ მათს ტანჯვაში, ბავშვთა შიმშილში, ერთიანდებიან სიღატაკის წინააღმდეგ, ჰიტლერულ მოძალადეთა წინააღმდეგ.

ჰიტლერი მსოფლიო ბატონობისათვის წარმოებს თავისი ომებით გაელეტას განუზადებს მთელი მსოფლიოს, ახალგაზრდობას. გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობა ერთიანდება, რათა გაანადგუროს ჰიტლერი და ბოლო მოუდოს ახალგაზრდა თაობის გაელეტას.

ჰიტლერი თავისებურად იყენებს მეცნიერების მიღწევებს, სახელდობრ იმისათვის, რომ კაცობრიობა მრავალი საუკუნით დასწიოს უკან და მოსპოს ყოველივე ის, რაც მოპოვებულია ადამიანის გენის მიერ, იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ გერმანიის ფაშიზმს დაუმორჩილოს სხვა ქვეყნები. გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ქვეყნის მეცნიერნი ერთიანდებიან, რათა დაიბრძოლონ საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცნიერებისა და კულტურის უბოროტესი მტრის — ჰიტლერისა და მისი ვასალების განადგურებაში.

ჰიტლერმა ამრიგად დაისახა მოსპოს ეზრაელი ხალხი და ამას იგი ანზორციელებს ოკუპირებულ ქვეყნებსა და რაიონებში,—ხოცავს უკლებლივ მთელ ებრაულ მოსახლეობას. გასაკვირველი არ არის, რომ ებრაელებმა ანტიფაშისტური კომიტეტი შეექმნეს, რათა საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეხმარონ ბოლო მოუღონ სისხლისღვრის ბოროტებას. სიგიჟეს ჰიტლერისა და სხვა ფაშისტი მაიმუნებისას, რომლებმაც თავიანთი თავი უმაღლეს რასად წარმოიდგინეს.

რამდენადაც ვიცი, ყველა ეს კომიტეტი მეგობრო კავშირს ამყარებს თავის თანამოაზრეებთან ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში და ოკუპირებულ ქვეყნებში, რათა გააჩაღონ ბრძოლა მთელი კაცობრობისათვის საშიში მიხაილოფური ჭირის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით მეშახტეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით ქვანახშირის ამოღებისა და ყომარი მასალის წარმოების დარგში მთავრობის დავალებათა სანამუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულთა შორის არიან:

„საპატიო ნიშნის" ორდენით — ერმალოს ანდრიასძე **სგიგა.** ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის უბნის უფროსი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის"—მაქსიმე ივანესაძე **დენისიუკი,** ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მნგრეველი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — ვასილ პავლესაძე **ბარტნოვსკი,** ტყიბულქვანახშირის ტრესტის აღმოსავლეთის შახტის მნგრეველი.

წითელი არმიის ავიაოპერაციისა, საგზაო-საექსპლოატაციო, საგზაო და ხიდაშენებლობის ნაწილების რიგითი და უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულნი არიან წითელი არმიის ავტოტრანსპორტის, საგზაო-საექსპლოატაციო და საგზაო და ხიდაშენებლობის ნაწილების, რიგითი და უფროსთა შემადგენლობის მთელი რიგი პირნი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი, **წითელი ვარსკვლავის ორდენით**—35 კაცი, **„საპატიო ნიშნის" ორდენით**—33 კაცი, **მედლით „მამაცობისათვის"**—27 კაცი, **მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"**—55 კაცი, **მედლით „შრომითი მამაცობისათვის"**—12 კაცი და **მედლით „შრომითი წარჩინებისათვის"**—5 კაცი. (საკდესი).

ამერიკის თვითმფრინავები იძულებით დაეშვა პრიმორიეს მხარეში

ხაბაროვსკი, 23 აპრილი (საკდესი). 18 აპრილს პრიმორიეს მხარის ტერიტორიაზე დაეშვა ამერიკის სომარი თვითმფრინავი. თვითმფრინავის ეკიპაჟის განცხადებით, თვითმფრინავმა ამ დღეს მონაწილეობა მიიღო ამერიკის ავიაციის თავდასხმაში იაპონიის კუნძულებზე, ორიენტირება დაკარგა და იძულებით დაეშვა საბჭოთა ტერიტორიაზე.

საერთოდ მიღებული საერთაშორისო წესების შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინეს ამერიკის თვითმფრინავისა და მისი ეკიპაჟის ინტერნირება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
24 აპრილის დილის ცნობა

23 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

ჩვენი ჯარის ნაწილებმა, რომლებიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მტრის რამდენიმე კონტრიერიში მოიგერიეს. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით 1.200 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს. მოსპობილია მტრის რამდენიმე ტანკი. წამოღებულია დაკლა. ფრონტის სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და გამაგრებული დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ბრძოლას ველზე მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა. წამოყენილია ტყვეები.

* * *

ჩვენი გვარდიის საკავალერიო ნაწილის ქვეგანაყოფმა გერმანელები სოფელ შ-დან ვანდუვეხა და ხელთ იგდო მტრის 11 ავტომანქანა საომარ მასალიანად. მალე გერმანელები კონტრშეტეგაზე გადმოვიდნენ და ჩვენი მებრძოლები შეავიწროვეს. ახლახან წამოღებული ნადავლი შეიძლებოდა კვლავ ხელში ჩავარდნოდა მტერს. უფროსი სერჟანტი მინაშინი წითელარმიელ ნიკოლაევთან და დენისენკოსთან ერთად მტრის ცეხლქვეშ ხოხვით მივიდა ავტომანქანებთან და რამდენიმე კილოგრამი ფეიქებადი ნივთიერება ჩააწყო მანქანების ქვეშ, როდესაც გერმანელებმა მანქანებს მიაშურეს, ამხ. მინაშინმა ზონარს ცეცხლი წაუკიდა. მოხდა აფეთქება. მანქანებთან ერთად 60-მდე ჰიტლერელი ჰაერში ავარდა. ჩვენმა მებრძოლებმა გერმანელებს შორის მომხდარი არეულობისთვის ისარგებლეს, იერიშზე გადავიდნენ და სოფელი კვლავ დაიკავეს.

* * *

17 წითელარმიელი ლეიტენანტ კალაშნიკოვის მეთაურობით მტრის ზურგში ჩასაფრდა. ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, წითელარმიელებმა დაინახეს, რომ მათ 150 ჯარისკაცისა და ოფიცრის თანხლებით უახლოვდებოდა გერმანელთა ალაღი, რომელიც 30 საბარგულისაგან შესდგებოდა. ჩვენმა მებრძოლებმა თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით და გრანატებით მოსპეს ალაღი და 50-ზე მეტი ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ფინეთის მე-12 ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონის მე-6 ასეულის ტყვე კაპრალმა ედვინ ვალენტინ რაიკლამპიმ განაცხადა: „ომის ბრძოლებში ასპროცენტიანი აგენტი ლავალი, რომელიც არაფერს არ მოერიდება იმისათვის, რომ თავის გერმანელ ბატონ-პატრონს ათმოს. ამ პირობებში უკვე არავის არ მოუკვიდავს ზრდა ლაპარაკი ეიშის რაღაც დამოუკიდებელი მთავრობისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის შესახებ. ეიშის „დამოუკიდებლობის" ფიქცია გამომეღავნებული და ლიკვიდირებულია.

პასუხად ერთერთი კორესპონდენტის წერილობითი შეკითხვისა, ხომ არ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ზოგიერთი ცნობა ანტიფაშისტური კომიტეტების მუშაობისა და მნიშვნელობის შესახებო, ამხ. ლოზოვსკიმ შემდეგი განაცხადა:

ამჟამად სსრ კავშირში შემდეგი 5 ანტიფაშისტური კომიტეტი არსებობს: 1. სრულიად-სლავთა კომიტეტი, 2. საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტი, 3. საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტი, 4. მეცნიერთა ანტიფაშისტური კომიტეტი და 5. ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტი. ყველა ეს კომიტეტი წარმოიშვა სსრ კავშირზე ჰიტლერის ვერაგულ თავდასხმასა და ფაშისტ მფარველობთა იმ გიჟურ კოგემბინთან დაკავშირებით, რომ იარაღის საშუალებით დაიმონჩინონ მთელი მსოფლიო.

ჰიტლერმა მიზნად დაისახა მოსპოს სლავთა ნაწილი, მეორე ნაწილი კი მონებად გადაექცეოს. გასაკვირველი არ არის, რომ სლავი ხალხები ერთიანდებიან, რათა მოსპონ ჰიტლერი, მისი ხროვა და მის მიერ შექმნილი სისტემა.

ჰიტლერმა გერმანიასა და სხვა ქვეყნებში უკვე დააქვრივა მილიონობით ქალი, მან ქალებს წაართვა მილიონობით შვილი და სურს უსიტყვო მონებად აქციოს ქალები. საკვირველი არ არის, რომ მთელი მსოფლიოს ქალები ერთობლივი ბრძოლისათვის ერთიანდებიან იმათ წინააღმდეგ, ვინც დამწაბავეთ მათს ტანჯვაში, ბავშვთა შიმშილში, ერთიანდებიან სიღატაკის წინააღმდეგ, ჰიტლერულ მოძალადეთა წინააღმდეგ.

ჰიტლერი მსოფლიო ბატონობისათვის წარმოებს თავისი ომებით გაელეტას განუზადებს მთელი მსოფლიოს, ახალგაზრდობას. გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობა ერთიანდება, რათა გაანადგუროს ჰიტლერი და ბოლო მოუდოს ახალგაზრდა თაობის გაელეტას.

ჰიტლერი თავისებურად იყენებს მეცნიერების მიღწევებს, სახელდობრ იმისათვის, რომ კაცობრიობა მრავალი საუკუნით დასწიოს უკან და მოსპოს ყოველივე ის, რაც მოპოვებულია ადამიანის გენის მიერ, იყენებს მხოლოდ იმისათვის, რომ გერმანიის ფაშიზმს დაუმორჩილოს სხვა ქვეყნები. გასაკვირველი არ არის, რომ ყველა ქვეყნის მეცნიერნი ერთიანდებიან, რათა დაიბრძოლონ საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცნიერებისა და კულტურის უბოროტესი მტრის — ჰიტლერისა და მისი ვასალების განადგურებაში.

ჰიტლერმა ამრიგად დაისახა მოსპოს ეზრაელი ხალხი და ამას იგი ანზორციელებს ოკუპირებულ ქვეყნებსა და რაიონებში,—ხოცავს უკლებლივ მთელ ებრაულ მოსახლეობას. გასაკვირველი არ არის, რომ ებრაელებმა ანტიფაშისტური კომიტეტი შეექმნეს, რათა საბჭოთა კავშირს, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეხმარონ ბოლო მოუღონ სისხლისღვრის ბოროტებას.

24 აპრილის საღამოს ცნობა

24 აპრილის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

23 აპრილს მოსპობილია გერმანიის 25 თვითმფრინავი. ჩვენ 11 თვითმფრინავი დაკარგეთ.

* * *

23 აპრილის განმავლობაში ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 20 ავტომანქანა ჯარებისთვის და ტვირთებად, საომარი მასალით დატვირთული 6 სახიდარი, 6 საველე ქვემეხი, გაანადგურეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის ცხენოსანი რაზმი და ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა ორი დღის ბრძოლას განმავლობაში დიდი ზარალი მიაყენეს მტრის ცოცხალ ძალას და მოსპეს გერმანელთა 5 ტანკი, 3 ქვემეხი, 6 დაზიანი ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, სამხედრო ტვირთით დატვირთული 18 ავტომანქანა, აეფეთქეს 2 საწყობი საომარ მასალიანად და აეწვეინინად. გაელეტილია ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტერი შეეცადა იერიში მოეტანა ჩვენს გამაგრებულ ზღვდეზე. გერმანელთა იერიში მოგერიებულ იქნა თოფ-ტყვიამფრქვეველებისა და ნაღმსატყორცნთა ცეცხლით. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 60-ზე ეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

მტრის მიწური საცეცხლე წერტილიდან დაშენილმა ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვეველების ძლიერმა ცეცხლმა შეაჩერა ჩვენი ქვეგანაყოფი, რომელიც დასახლებულ პუნქტ კა ეტევდა. წითელარმიელი ამხ. კრასნოკუცკი შეუმჩნევლად მიეპარა მიწურ საცეცხლეს წერტილ და გრანატი შეაგდო ამბრაზურაში. მიწური საცეცხლე წერტილიდან გამოშხტარი 16 ჰიტლერელი გაბედულმა მებრძოლმა ავტომატის ცეცხლით დახოცა. ჩვენი ქვეგანაყოფი იერიშზე გადავიდა და გერმანელები განდევნეს მათი პოზიციებიდან.

* * *

მეზენიტელებმა—სერჟანტმა რუდიხმა, წითელარმიელებმა — ივანოვმა და კუსანიკოვმა ტყვიამფრქვევი დაუშინეს გერმანელთა ბომბდამშენს „იუნკერს-88". მტრის თვითმფრინავი ნამსხვრევებად იქცა საკუთარი ბომბების აფეთქებისაგან.

* * *

სნაიპერმა ამხ. მალოვმა მტრის გამაგრებულ პოზიციიაზე შეამჩნია ერთი ჯარისკაცი, რომელიც ბლინდაჟიდან წყალს ტუმბავდა. ამხ. მალოვი ყურადღებით დააკვირდა და გამოარკვია, რომ ეს მაკეტი იყო; ამ მაკეტს 2 გერმანელი ჯარისკაცი ამოფარებოდა. რომელნიც დაბლა დახრილიყვნენ და თხრილს სხვრეფნენ ბლინდაჟიდან წყლის ჩასაშვებად. სნაიპერი მტრის ემბაჯობას მიხვდა და ორივე ერთად. ისინი მტრის უფრო მეტ ტანკებსა და თვითმფრინავებს სპობენ, ვიდრე ჩვენ ყველანი, რუსეთი საბრძოლო ფრონტია. სწორედ ამ ფრონტზე მოიპოვება გერმანელებთან ომის წარმოების შესაძლებლობა".

„მას შემდეგ, რაც გასული წლის ოქტომბერში რუსეთს ვეწვევი, მე მეორე ფრონტის შეკმნის მოახრე ვარ. მაშინ ინგლისისა და ამერიკის მისიები მომარაგების საკითხებში შეთანხმდნენ იმაზე, რომ უზრუნველყონ რუსეთი თვითმფრინავებით, ტანკებით, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით. ზოგიერთი ბეცი ადამიანი იმ დროს სჩიოდა და ამტკიცებდა, შეიცდომის ვნაცდენართ, რომ კომუნისტებს იარაღი ვაძლევეთო. ასეთი ჩვენი ჩემთვის გაუგებარია. კომუნიზმმა სტალინის ხელმძღვანელობით ასეთი არმია შექმნა, რომელიც ყველაზე მამაცი მებრძოლი არმიაა ევროპაში. კომუნიზმმა სტალინის ხელმძღვანელობით გვიჩვენა პატრიოტიზმის ასეთი მაგალითები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში ცხობილ საუკეთესო ნიმუშებს შეესაბამება. კომუნიზმმა სტალინის ხელმძღვანელობით დასავლეთის ყველა ქვეყნის მოწონება და აღტაცება დაიმახსოვრა. კომუნიზმმა სტალინის ხელმძღვანელობით შეიქმნა ამ ომის საუკეთესო გენერლები".

„ბევრბრუკი ინტერნაციონალისა პროპაგანდას შეეხო და უარჰყო მტკიცება იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობა რელიგიის დევნის. ამასთან აღნიშნა საბჭოთა ხალხების რასობრივი თანასწორობა. ბევრბრუკმა ილაპარაკა სსრ კავშირში ხალხის მტრებთან ჩატარებული ბრძოლის შესახებ და განაცხადა: „ამჟამად სავსებით ნათელია, რომ ის ხალხი, რომელიც დახვრიტეს, რუსეთს გერმანიას მიჰყიდდა".

„სტალინს,—განაცხადა შემდეგ ბევრბრუკმა,—ეფიდეგი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა აქვს. იგი ტაქტიკის ოსტატია და მტრის განადგურებას მიაღწევს. იგი დარწმუნებულია, რომ თავდაცვის საუკეთესო ფორმას შეტევა წარმოადგენს. სწორედ ასეთ ადამიანს ვეძებ. ინგლისი ამ ომში ჰიტლერელთა სარდლობამ, მოსწრებულად სთქვა ინფორმაციის დირექტორმა ოსეს კურტმა, რომელიც ნეიაიორკში ბრუნდებოდა ტყვედ:

—ჩვენ ტყვეთა უფრო მეტი ვეყოლებოდ, ვიდრე გაზაფხულს ველოდით, გაზაფხული რად გვინდა? მკვდრისთვის სულერთია, სად იწოლება, თოვლში თუ გაზაფხულის ლილოში... ტყვეობა—აი ჩვენი საუკეთესო გაზაფხული!

დ. ზჩუკინი

ფელდფებელ ციგერის „საგაზაფხულო" ღლიური

დასავლეთის ფრონტი, 23 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ერთი დიდი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე ბრძოლის დროს მოკლულ იქნა 111-ე ქვეითი პოლკის მე-5 ასეულის მეთაური, ფელდფებელი ციგერი. მას უპოვნეს ღღიური, რომელს „საგაზაფხულო" ფურცლები მეტად საინტერესოა.

„მოულოდნელად ჩვენს წინაშე გაისმის ჯიჭვების ჩხარა-ჩხური. ტანკები! ჩვენ გვეგონა, ეს ჩვენი ტანკებიაო, მაგრამ არა! ყუმბარები სახლებს შორის სცდება — ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი პირდაპირი მოხვედრით ჰავრში ავარდა.

მეგონა, რუსების ტანკები ულეველია, ყუმბარები ყოველი მხრიდან ცვივა. ჩვენ აქეთ-იქით ვაწყობით, სანამ ეს შესაძლებელია, სამალავიდან სამალავისაკენ, მერმე ვიხერხებ ბოგირქვეშ შეძერომას".

ბოგირქვეშიდან ფელდფებელი უთვალთვალებს, თუ რა ხდება შემდეგ.

„ტანკები კი მოდიან და მოდიან სოფელზე, გზას გვიღობავენ ზურგიდან. მარჯვნივ ფოლის მეთაურმა სმაშლიეეგმა, რომელიც მკვეთრი ბიკირებით დაეკანა, ტყვიამფრქვევზარბაზნის გამანადგურებელი ცეცხლი დაუშინა ასაფრენ-ძირდასაფრენ ზოლს. სმაშლიეეგს კვალდაკვალ მიჰყვებოდა მოიერიშე, რომელსაც ორდენსანი მეჯრინაი ბურმა პილოტობდა. ცეცხლი ზედიზედ მოედო ფაშისტთა თვითმფრინავებს. თავდასხმის შედეგად მოსპობილია მტრის 6 თვითმფრინავი და დაიწვა ანგარი. ჩვენს მფრინავებს ზარალი არ მოსვლიათ.

ა. ბრომოვი

„თოვლქვეშა მოსავალი"

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 23 აპრილი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). მინდვრად თითქმის ყველგან გადნა თოვლი. ის ადგილები, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ბრძოლები ამ იარაღსა და სამარო მასალას უწოდებენ, — ერთობ უხვია.

მარტო იმ უბანზე, რომელიც 6 ქვეგანაყოფს უკავია, რამდენიმე დღის განმავლობაში შეგროვებულ იქნა სხვადასხვა ყალიბის 10 გერმანული ქვემეხი. ქვემეხები სრულიად ვარგისი აღმოჩნდა.

ამავე ქვეგანაყოფმა იპოვნა 3 ვარგისი დაზგის ტყვიამფრქვევი, მრავალი ათეული ყუთი ნაღმი, დიდძალი ავტომატი, რევოლვერები და ვაზნები. ამ დღეებში წითელარმიელებმა ტყვეში წაიყვანეს ვეებერთელა ბლინდაჟი. ბლინდაჟის შესასვლელში მოკუნტნხული იწვა რაღაც უცნაური ირსება, რაც დამზრალი გერმანელი აღმოჩნდა. მას ქალის კაბა ეცვა და ყოველი მხრით შემოწყობილი ჰქონდა ბალიშები. ქალის სამოსქვეშ მკერდზე მას მიმაგრებული ჰქონდა ორი „რკინის ჯვარი". ბლინდაჟი აღმოჩნდა გერმანელთა საომარი მასალის საწყობი. აქ ჩვენმა მებრძოლებმა აღმოაჩინეს 12.000-ზე მეტი საარტილერიო ყუმბარა.

დ. ზჩუკინი

ლორდ ბივერბრუკის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 24 აპრილი (საკდესი). „ამერიკის გაზეთების გამომცემელთა საზოგადოების" ყოველწლიურ კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ლორდმა ბივერბრუკმა.

ბივერბრუკი მოკლედ შეჩერდა იმ ხარალსა და მარცხზე, რაც გაერთიანებულმა ქვეყნებმა განიცადეს წარსულში, და განაცხადა: „ამჟამად ინგლისის თითქმის ყველა წრეში გაიგონებთ: „საჭიროა შეტევა, შეტევა რუსეთის დასახმარებლადო". ყველა ჩვენი ადამიანის გულში ღრმად გაიდგა ფესვები ეგზებარკ სურვილმა, რომ საბრძოლო ფრონტი შეიქმნას დასავლეთში რუსებისათვის დასმარების გასაწევად. რუსები ყოველდღე უფრო მეტ გერმანელს ჰხოცავენ, ვიდრე ყველა მოკავშირე ერთად. ისინი მტრის უფრო მეტ ტანკებსა და თვითმფრინავებს სპობენ, ვიდრე ჩვენ ყველანი. რუსეთი საბრძოლო ფრონტია. სწორედ ამ ფრონტზე მოიპოვება გერმანელებთან ომის წარმოების შესაძლებლობა".

„ამ ომში, ჩვენ ეს ვიცოდეთ, ან არ ვიცოდეთ, ჩვენ ვებრძვით ბოროტებას. ეს ბოროტება ბოროტებაა, ეს ბოროტება ბოროტებაა, ეს ბოროტება ბოროტებაა.

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

წითელარმიელ 3. გოშაძემ 50 ფაშისტი მოსპო

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ეს მოხდა ჩვენი ქვეგანაყოფის ერთ-ერთ უბანზე, სადაც მტერმა მოახერხა რიცხვობრივად ჭარბი ძალების თავმოყრა. ფაშისტებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების გრიგალისებრი სროლა ატეხეს და მის საფარქვეშ შემოუტიეს ჩვენი პოზიციების მარჯვენა ფლანგს. ჩვენი მებრძოლები მტკიცედ შეხვდნენ მტერს. ეს ბრძოლა ახალი როდი იყო მათთვის, და იერიშზე მომავალთა რიგები სულ უფრო და უფრო თხელდებოდა მათი ზუსტი სროლით. ცეცხლის გრიგალში, რომელიც თავს დაატყდა იერიშზე მომავალ მტერს, იგრძნობოდა ჩვენი მებრძოლების მტკიცე, მეგობრული შემჭიდროება.

— ამხანაგებო! — გაისმა ძახილი, — გაძლიერეთ ცეცხლი, იბრძოლეთ სამშობლოსათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!

ეს ხმა ეკუთვნოდა წითელარმიელ ვაკა გოშაძეს. იგი აღაფრთოვანებდა მებრძოლებს, განუმტკიცებდა მათ საბრძოლო სულისკვეთებას და თვითონ აუცდენლად უშენდა მტერს ხელის ტყვიამფრქვევს. ფაშისტთა რიგები შედრკნენ და შეჩერდნენ. მაშინ ჩვენი მებრძოლები, რომლებსაც ტყვიამფრქვევის ცეცხლი ეხმარებოდა, ეკვეთნენ მტერს ხმამაღალი „ურას“ ძახილით. გერმანელთაგან ძალიან ცოტა გადარჩა. ბრძოლის ველი მათი გვამებით მოიფინა.

ამ სასახელო ბრძოლაში ვაკა გოშაძემ 50 ფაშისტი განგმირა. ამ გმირობისათვის იგი დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

სერჟანტ შ. კავსაძემ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 40 მებრძოლის იარაღი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

როდესაც ნაწილში სერჟანტ შალვა კავსაძეზე ლაპარაკობენ, მებრძოლებს სახე ფაქიზით. იგი ნაწილში ყველას უყვარს. მას არაერთი წითელარმიელი და მეთაური გადაურჩენია. სერჟანტი კავსაძე სანიტარული ინსტრუქტორია. თავდადებულად ასრულებს დაჭრილთათვის დახმარების აღმოჩენის წმინდა მოვალეობას. აქ მისთვის არაკეთილი დაბრკოლება არ არსებობს. მტრის გააფთრებული სროლა, ტყვიების ზუზუნი, ყუმბარების აფეთქება ერთი წუთითაც ვერ აკავებს მას, როდესაც მის სიმტაცესა და გამბედაობაზე შეიძლება დამოკიდებული იყოს მის მებრძოლ ამხანაგთა სიცოცხლე. ბევრი დაჭრილი მხრებზე აკიდებული მიუყვანია სამედიცინო დახმარების პუნქტზე. ბევრისათვის დახმარება აღმოუჩენია პირდაპირ ბრძოლის ველზე.

კავსაძე არასდროს არ ივიწყებს დაჭრილ მებრძოლთა იარაღს. მაგალითად, მან ბრძოლის ველიდან გამოიტანა 40 შაშხანა, რომელთაგან თითოეულმა შემდეგში კარგი სამსახური გაუწია მებრძოლებს.

თავდადებისა და სიმამაცისათვის სერჟანტი კავსაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

უმცროს სერჟანტ 3. ხაჩიძის ვაჟკაცობა

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ჩვენმა ნაწილმა ბრძანება მიიღო შეტევაზე გადასულიყო. მებრძოლები გაბედულად გადავდნენ იერიშზე. მებრძოლთა პირველ რიგებში იყო უმცროსი სერჟანტი კომკავშირელი ვლადიმერ ხაჩიძე. შეტევაზე გადასულ მებრძოლებს ფაშისტები გაფიცრებული სროლით შეხვდნენ. ზუზუნებდნენ ტყვიები. ერთმა მათგანმა იმ ოცეულის მეთაური დასჭრა, რომლის შემადგენლობაშიც ხაჩიძე შედიოდა. მაშინ ხაჩიძემ ოცეულის მეთაურობა იკისრა. სწრაფი და მოხერხებული მოძრაობით მან ოცეული ხელსაყრელ ზღუდეზე გადაიყვანა და შეუდგა ფაშისტების გაფანტვას, რომლებიც ოცეულს ტყვიამფრქვევსა და თოფს უშენდნენ. ამ დროს ტყვია მოხვდა უმცროს სერჟანტ ხაჩიძესაც. იგი ხელში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიატოვა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მეორე ტყვია მოხვდა, სამშობლოს გაბედული დამცველი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საბრძოლო პოსტი.

„მე რომ დამჭრეს, ეს არაფერია, — დაუძახა მან თავის მებრძოლ ამხანაგებს. — მალე დავბრუნდები. მაშინ ყველაფრის სამაგიეროს მიგიზღავ მტერს“.

მამაცობისა და გამბედაობისათვის ვლადიმერ ხაჩიძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

ლეიტენანტ შ. დგებუაძემ მტერი უკუაქცია

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ლეიტენანტ შალიკო დგებუაძეს, სოხუმის რაიონის სოფელ დრანდში დაბადებულს, ამ ცოტა ხნის წინათ 22 წელი შეუსრულდა. იმ ნაწილში, რომლის რიგებშიც იგი იცავს ჩვენი დიადი ქვეყნის სამართლიან საქმეს, მას იცნობენ როგორც მამაც, უშიშარ მეთაურს, როგორც ლენინური კომკავშირის ერთგულ შვილს. მის მოსაზრებულობას, გამბედაობასა და სიმამაცეს არაერთხელ გამოუყენია ნაწილი საშიში მდგომარეობიდან, ხელი შეუწყვია ნაწილისათვის მტრის წინააღმდეგ გამანადგურებელ დარტყმებში.

ერთხელ მტრის ჯგუფი შემოიპარა ჩვენი გამაგრებული ზღუდის ფლანგზე. შეიქმნა გარემოცვის საფრთხე. დგებუაძე არ დაიბნა. რამდენიმე მებრძოლთან ერთად მან სწრაფად მიიტანა იერიში მტრის ჯგუფზე და უკუაგდო იგი თავდაპირველ პოზიციებზე. ამრიგად ჩვენი ნაწილის მდგომარეობა აღდგენილ იქნა.

მაგრამ გონებაჩლუნგმა ფრიცებმა ჯერეკვანი დასკვნები ვერ გამოიტანეს მათთვის მიცემული გაკვეთილიდან. მათ კვლავ სცადეს მარწუხებში მოექციათ ჩვენი პოზიცია, ცდილობდნენ შემოევლოთ მისი ფლანგებისათვის და ზურგში გამოსულიყვნენ. დგებუაძემ მტრის ასეული 300 მეტრამდე მოუშვა და შემდეგ უბრძანა მებრძოლებს სროლა აეტეხათ, თვითონ კი დაზგის ტყვიამფრქვევი დაუშინა მტერს. მტერმა ვერ გაუძლო ცეცხლის გრიგალს, რომელიც მას თავს დაატყდა, ბრძოლის ველზე დასტოვა ბევრი დაჭრილი და მოკლული და დაიწყო საჩქაროდ უკან დახევა. მაშინ დგებუაძემ თავისი მებრძოლები იერიშზე გადაიყვანა. პანიკით მოცული ფრიცები გაიქცნენ. ახლა ჩვენი ნაწილის გარემოცვაზე როდიღა ფიქრობდნენ. ამჯერად ისინი ფიქრობდნენ მხოლოდ თავისი ტყავის გადარჩენაზე.

სასახელო სამგირო საქმეებისათვის შ. დგებუაძე დაჯილდოებულია „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით.

უმცროს სერჟანტ 3. წულაიას მოსაზრებულობა და სიმამაცე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ბრძოლა გაჩაღებული იყო. ჩვენი მებრძოლების მცირე ნაწილი ბრძოლის დროს მტრის გარემოცვაში მოექცა. მეთაური, უმცროსი სერჟანტი ვლადიმერ წულაია ამ დროს საბრძოლო სადარაჯო საგუშაგოზე იყო. წულაიამ დაინახა, როგორ ერტყმოდნენ ფაშისტები ჩვენს მებრძოლებს, მყისვე გამოიცნო მტრის მანევრი და გაეშურა თავის ამხანაგების დასახმარებლად. მან ზედიზედ სტყორცნა მტერს გრანატები. შეტევაზე გადასული ოცეულის გზა გაწმენდილი იყო. ფაშისტთა გარემოცვა გარღვეულ იქნა. თავზარდაცემული მტერი გაიქცა, იგი გზაში სტოვებდა მოკლულებსა და დაჭრილებს. ასე გადაარჩინა-როსი სერჟანტის წოდება.

ჰიტლერელები მხეცურად ეპყრობიან ჩვენ წითელარმიელებს

ლონდონი, 23 აპრილი (საკდისი). ნორვეგიელთა წრეებმა ლონდონში ცნობა მიიღეს, რომ ჰიტლერელები მხეცურად ეპყრობიან ტყვე წითელარმიელებს, რომელნიც ნორვეგიაში იმყოფებიან. ისინი იღუპებიან წამების, ავადმყოფობისა და შიმშილისაგან.

ზამთრის განმავლობაში 300 ტყვე წითელარმიელიდან, რომელნიც შარშან შემოდგომაზე ნარვიკსა და ბიერვიკში ჩაიყვანეს, 50 მოკვდა. ტყვეებს ჩამოართვეს თეთრეული, ფარაჯები, ფეხსაცმელი. ერთმა დამსწრე ნორვეგიელმა განაცხადა, რომ 50 ტყვე წითელარმიელი ისე დატანჯეს შიმშილით, რომ, როცა მათ ერთი ყუთი გაყინული ქაშაყი ამოვნეს, ხარბად მიესივნენ და უმად შეჭამეს. ერთხელ, როდესაც ცხენი და საზიდარი მდინარეზე ჩატეხილ ყინულში ჩავარდა, ტყვე წითელარმიელს უბრძანეს ყინულიან წყალში ჩასულიყო და ცხენი ნაპირზე ამოეყვანა. წითელარმიელს, მდინარიდან რომ ამოვიდა, ისე სცივდა, რომ ვეღარ ინძრეოდა. მცველებმა იმის ნაცვლად, რომ იგი უახლოეს სახლში წაეყვანათ, აიძულეს 2 მილი გაეარნა. წითელარმიელი დაიღუპა.

ასევეა პირობები მეფობა სიტერმენის ბანაკშიც. აქ დეკემბერში 36 წითელარმიელი დახვრიტეს.

გერმანელები სასტიკად სჯიან ნორვეგიელებს, რომლებიც შეეცდებიან საპმელი ან ტანსაცმელი გადასცენ წითელარმიელებს. ყველგან გამოკრულია პლაკატები იმის შესახებ, რომ მკაცრად არის აკრძალული რაიმე დახმარების გაწევა ტყვეებისადმი. ამის მიუხედავად, ბევრ ნორვეგიელს პატიმრობა მიუსაჯეს წითელარმიელებისადმი დახმარების გაწევისათვის.

ფინელ ფაშისტთა ხროვა შეშფოთებულია

სტოკჰოლმი, 23 აპრილი (საკდისი). ფინელ ფაშისტთა პრესამ განგაში ასტეხა ფინეთში უკმაყოფილების გაძლიერების გამო. გაზეთი „ბაპენბრუდერნი“ 15 აპრილის მოწინავეში აცხადებს: „ფინეთის შინაურ ფრონტზე მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. ზამთარში მოსახლეობა მხოლოდდამხოლოდ თავის პირად საქმეებზე მუშაობდა, თანაც ისეთი ენერგიით მუშაობდა, რომ ჯარისკაცები კიდევაც კითხულობდნენ,—შინაურ ფრონტს ომი ხომ არ დაეწყებიაო. რასაკვირველია, ფინეთი გაჭირვებას განიცდის, მაგრამ შეუძლებელია ისე გულგრილად მოვეპყროთ სამხედრო ფრონტის საკითხებს, როგორც ახლა ხდება“.

ამავე თემას ეხება გაზეთი „ილკა“. მას 12 აპრილის მოწინავე წერილში მოჰყავს ყოველკვირეულ ჟურნალში დაბეჭდილი ერთი ჯარისკაცის წერილის შემდეგი ნაწყვეტი: „ჩვენ არ უნდა წავიდეთ შვებულებაში. იქ მეგობრები არა გვყვანან. იქ არიან მხოლოდ ეგოისტი და მოდაკე ადამიანები. არავის არ შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ შინაური ფრონტის განწყობილება ჩვენში ახლა ჩვეულებრივი და, შეიძლება ითქვას, ფუქსავატურია. ომი არ აინტერესებს ხალხს. მას ერთობ შეეჩვიენენ. ომში აღარაფერი მათთვის აღმფრთოვანებელი. ახლა ძალიან ბევრს ზრუნავენ თავიანთი პირადი ინტერესებისათვის. ეს განსაკუთრებით შეეხება სუსტ ელემენტებს. ფინეთში არ არსებობს დისციპლინა. შინაური ფრონტი დღემდე მტკიცე იყო, მაგრამ არის ისეთი ნიშნები, რომლებიც კარგს არაფერს მოაწავებენ“.

ფართოდ დავნერგოთ საწარმოებში სტახანოველ-ათასოვანთა გამოცდილება

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის აგრეგატების განყოფილების ამწყობი საამქროს ოსტატ გიორგი დეკანოზიშვილის ბრიგადა (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები — ს. კაჩინოვი, ნ. უსუფაშვილი, ს. ტაბატაძე, გ. დეკანოზიშვილი, ვ. ერანოსიანი და კ. ფრენაშვილი, რომელთაც 22 აპრილს დღიური საწარმოო დავალება 1.150 პროცენტით შეასრულეს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დღიური დავალება 1.600 პროცენტით შეასრულეს

დიდი სამამულო ომის დღეებში საწარმოო დღიურ გეგმებს ყოველთვის 250-300 პროცენტით ვასრულებდი. წინასამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეც ჩავები. ავიღე ვალდებულება გავმხდარიყავი ათასოვანი. საიარაღო სამამქროს უფროსმა ამხ. ჩინჩალაძემ დაწვრილებით გაგვაცნო ცნობილი ურალელი მეჩარეულის დიმიტრი ბოსის მეთოდები. შრომის მოწესრიგებით და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებით, ქარხნის პარტიბიუროსა და დირექციის დახმარებით, დაპირება გავანაღდე და გავხდი ათასოვანი, მაგრამ მიღწევებით არ დავკმაყოფილებულვარ. ახლა ჩემი მიზანია გავხდე ორათასოვანი.

წინათ მუშაობის დროს მჭრელის ლესვა დიდ დროს მართმევდა, რის გამოც განვიზრახე დამემზადებინა მაღალხარისხოვანი ფოლადის ფრეზერი. საამქროს სხვა ოსტატთა დახმარებით განვზრახვა სისრულეში მოვიყვანე.

23 აპრილს მუშაობის დაწყებამდე წინასწარ დავლესე ფრეზერები, მოვამზადე ხელსაწყოები და დეტალები, წესრიგში მოვიყვანე დაზგა. ფრეზერის გასაციებლად მაცივარა გავავსე საჭირო სანთიანი წყლით, დიდი რაოდენობით მოვიმარაგე მასალა, რომლის მოტანაში მუშაობისას დრო არ დამეკარგა.

ამრიგად მუშაობის დაწყების წინ ყველაფერი მზად მქონდა. მუშაობის დროს არც ერთი წუთი ტყუილუბრალოდ არ გამიცდენია. ვმუშაობდი თავგამოდებით და შეუფერებლივ. შესვენების დროს დაზგა განშეორებით დავზეთე. გამოვუცვალე ფრეზერი და უფრო მეტი მონდომებით განვაახლე მუშაობა. სამუშაო დღე მაქსიმალურად გამოვიყენე. თუ წინათ ერთი ნაწილის გასაბურღად მჭირდებოდა 28 წუთი, 23 აპრილს მეორე ცვლაში იგი ერთ წუთში გავბურღე. ამრიგად ამ დღეს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 23 ნაწილისა დავამზადე 370 ნაწილი, რითაც დღიური საწარმოო გეგმა 1.600 პროცენტით შევასრულე. ამით ჩვენს ქვეყანას მივეცი 16 დღის სამუშაო პროდუქცია.

ამხ. გ. წიკლაური თავის სამუშაოდ დაზგასთან.

მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. დიმიტრი ბოსის მსგავსად მიღწევას შევინარჩუნებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ უახლოეს დროში გავხდე ორათასოვანი.

გრიგოლ წიკლაური

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის ხარატი, · საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი.

მეჯალურგები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ზესტაფონი („კომუნისტის“ კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრებაში მეც ჩავები. ავიღე ვალდებულება გავმხდარიყავი ათასოვანი. საიარაღო სამამქროს უფროსმა ამხ. ჩინჩალაძემ დაწვრილებით გაგვაცნო ცნობილი ურალელი მეჩარეულის დიმიტრი ბოსის მეთოდები. შრომის მოწესრიგებით და სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებით, ქარხნის პარტბიუროსა და დირექციის დახმარებით, დაპირება გავანაღდე და გავხდი ათასოვანი, მაგრამ მიღწევებით არ დავკმაყოფილებულვარ. ახლა ჩემი მიზანია გავხდე ორათასოვანი.

ზესტაფონელ ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი კვლავ წარმატებით მუშაობს, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს საბჭოთა ხელისუფლებას — პირველ მაისს, სამშობლოს მისცეს მაღალხარისხოვანი ლითონი.

ჯ. ჯიოკაძე

საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობა

საგაზაფხულო საკოლმეურნეო ბაზრობის მე-6 და მე-7 დღეს გაცილებით უფრო მეტი პროდუქტები შემოზიდეს კოლმეურნეობებმა, ვიდრე წინა დღეებში.

განსაკუთრებით ორგანიზებულად ჩამოვიდა ზუგდიდის რაიონი. სოფ. ორსანტიას, ერგეტის, „კომუნისტის“ სახელობის, სოფ. დარჩელის სტალინის სახელობის, დიდი ნედის, სოფ. შამგონას კიროვის სახელობის, ცაიშის, განმუხურის, ორულის, სოფ. კოკის სტალინის სახელობის, ახალსოფლის და კახათის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებმა სტალინის რაიონის გადახურულ ბაზარში 24 აპრილს ჩამოიტანეს 8 ტონა ხორცი, 2 ტონა დაკლული ქათამი, 18 ტონა სიმინდის ფქვილი, 6 ტონა არაბისი, 3 ტონა თხილი, 3 ტონა ღვინო და სხვა პროდუქტები, რომლებიც დაკლებულ ფასებში გაჰყიდეს. ახლო ხანში ზუგდიდელები კიდევ ბევრ პროდუქტებს ჩამოიტანენ.

სტალინის რაიონის ბაზარზე ცხვრისა და ღორის ხორცი ჩამოიტანეს აგრეთვე სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემომაჩხანის მახარაძის, კიროვის და დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებმა. წალკის რაიონიდან კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ჩამოიტანა კარტოფილი და ხორცი, ყარაიიდან სამმა კოლმეურნეობამ, აბაშიდან ბერიასა და ბაქრაძის სახელობის და სოფ. ნოროოს ბერიას სახელობის კოლმეურნეობებმა ჩამოიტანეს ხორცი, ქათამი, ფქვილი. მაიაკოვსკის რაიონის 14 კოლმეურნეობამ 22-23 აპრილს შემოიტანა 2 ტონა ხორცი, 1.500 კვერცხი, 200 ქათამი, 40 კგ. თაფლი, ყველი და სხვა პროდუქტები. ასევე ორგანიზებულად ჩამოვიდა ლაგოდეხის რაიონის 9 კოლმეურნეობა.

ბაჭალის (საბჭოს ქუჩაზე) ბაზარზე 23 და 24 აპრილს პროდუქტები შემოიტანეს კასპის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ, სოფლანლუღიდან მახარაძის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. ბაჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ორ ტონამდე ისპანახი და სხვა მწვანილი გაყიდა.

ვერის ბაზარზე თეთრი წყაროს რაიონი კვლავ წარმატებით გამოვიდა. კომინტერნის, კიროვის, მოლოტოვის, ბუდიონის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა გაყიდეს 1½ ტონა კარტოფილი, ხორცი, კვერცხი, ლობიო და სხვა პროდუქტები. „თბილხლებოსტანვაჭრობამ“ თავის წერტილში გაყიდა 3 ტონამდე ისპანახი.

პროდუქტები შემოიტანეს აგრეთვე თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის, სოფ. მანგლისის, პრიუტის, თონეთის კოლმეურნეობებმა, გორის, დუშეთის, ხაშურის და ქარელის რაიონის კოლმეურნეებმა.

ბაზრებზე შემჩნეულია გამყიდველებისა და მყიდველების მხრით წესრიგის დარღვევის ცალკეული შემთხვევები. 23 აპრილს გორის ქუჩაზე მილიციის მეოთხე განყოფილებამ დააკავა გამყიდველები, რომლებიც ცდილობდნენ 1½ ტონა ვაშლის სპეკულაციური ფასებში გაყიდვას. აღმოჩენილია აგრეთვე რძით სპეკულაციის ცდის შემთხვევებიც. ამ მხრივ ბრძოლა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს.

შემხვედრი ვაჭრობა გაძლიერდა. სტალინის რაიონის გადახურულ ბაზარზე კარგად ვაჭრობს უნივერმაღი, რომლის ერთი წერტილი ბრუნვა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე „თბილვაჭრობის“ 14 წერტილისა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „თბილვაჭრობის“ წერტილი № 94, № 203, № 204 საკმაოდ არ არიან მომარაგებული სამრეწველო საქონლით.

„თბილვაჭრობის“ № 127 მაღაზიამ ბაზრობისათვის მიიღო მარილი, თამბაქო, საპონი, ასანთი; № 104 მაღაზიამ—200.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

შემხვედრი ვაჭრობა ორგანიზებულად მიმდინარეობს, საქონელი ეძლევა იმ კოლმეურნეებს, რომელთაც ბაზარზე ჩამოიტანეს და გაყიდეს პროდუქტები.

საკოლმეურნეო ბაზრებზე ჩამოსული კოლმეურნენი მომარაგებულნი არიან პურით.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისის ავიაციის თავდასხმა გერმანიაზე

ლონდონი, 24 აპრილი (საკდისი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 23 აპრილს ღამით ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანიის ტერიტორიას. თავდასხმა მოხდა გერმანიის ნავსადგურ როსტოკზე, რომელიც ბალტიის ზღვაში მდებარეობს.

მტრის თვითმფრინავთა მცირე ჯგუფი ღამით თავს დაესხა ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს. ჩამოგდებულია 2 თვითმფრინავი. მთელ რიგ პუნქტებში ჩამოყრილმა ბომბებმა გარკვეული ზარალი გამოიწვიეს. არის მსხვერპლი.

ანგიგერმანული საბოტაჟი საფრანგეთის ქარხნებში

ლონდონი, 24 აპრილი (საკდისი) გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ბეზანსონის (საფრანგეთის ოკუპირებული ზონა) სარკინიგზო ქარხანა „დუეის“ დირექციასა, რომელიც ჰიტლერელთა შეკვეთით ყუმბარებს ამზადებს, და გერმანიის იმ კომისიის შორის, რომელსაც ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციის მიღება აქვს დაკალებული, კონფლიქტი წამოიჭრა. ეს კონფლიქტი იმით არის გამოწვეული, რომ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ქარხნის მიერ დამზადებული ყველა ყუმბარა, ფართოდ ორგანიზებული საბოტაჟის შედეგად, უფარგისი აღმოჩნდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ახლა გესტაპო გამოძიებასა და დაკითხვას აწარმოებს.

სამხრეთ აფრიკის კავშირმა ღიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა ვიშის მთავრობასთან

ლონდონი, 24 აპრილი (საკდისი). როგორც რეიტერის საგენტო პრეტორიიდან გადმოგვცემს, სამხრეთ აფრიკის კავშირმა დიპლომატიური ურთიერთობა გასწყვიტა ვიშის მთავრობასთან.

მეცნიერება სამამულო ომის სამსახურში

(სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 სამეცნიერო სესიის შედეგებისათვის).

1942 წლის 9-15 აპრილს ჩატარდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორიგი მე-5 სამეცნიერო სესია. სესიის პლენარულ და სექციათა სხდომებზე მოსმენილ იქნა 80 მოხსენება, აქედან 60 მოხსენება წაკითხულ იქნა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკების მიერ.

სამეცნიერო სესიაზე წარმოდგენილი მოხსენებები ხასიათდებოდნენ აქტუალობით და უპასუხებდნენ სამამულო ომის მოთხოვნებს.

მათემატიკისა და ფიზიკის სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა აკად. ნ. მუსხელიშვილის საინტერესო მოხსენება თემაზე: „დრეკადობის თეორიის ძირითადი ამოცანების ამოხსნის ახალი მეთოდი ზოგიერთი „კერძო სახის ფრეებისათვის“. ავტორის მიერ მიღებულ და დასაბუთებულ ფორმულას საინჟინრო ნაგებობათა დაპროექტებისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

დოც. ნ. კალაბუხოვმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ფოტოელემენტის ახალი ტიპი, რომელსაც ძალიან დიდი სელექტივობა ახასიათებს. მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო სპექტროსკოპიისათვის სხვადასხვა შენაღნობთა პროცენტული შემადგენლობის გამოსარკვევად.

ქიმიის სექციის სხდომაზე დოც. ბ. ნოღაიდელმა მოუთხრო დამსწრეთ ნივთიერებათა ახალ სინთეზზე, რომელსაც სათანადო გამოყენება ეძებნება მეტალურგიაში. პროფ. მ. ბეჭაიამ თავის მოხსენებაში ახალი წყარო უჩვენა სოფლის მეურნეობას სასუქების მისაღებად.

აკად. ა. თვალჭრელიძის მოხსენება, რომელიც გეოგრაფიისა და გეოლოგიის სექციაზე იქნა მოსმენილი, ეხებოდა ფრიად აქტუალურ საკითხს—საქართველოს მინერალების სარეწველო თვისებების პერსპექტივებს ომის პერიოდში. პროფ. ბ. ყავრიშვილის მოხსენება მიეძღვნა საქართველოს წყლის რესურსების შესწავლის ამოცანებს, კერძოდ, მათს გამოყენებას თავდაცვის საქმეში.

მეტად საინტერესო იყო ბიოლოგიის სექციაზე წარმოდგენილი მოხსენებები. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო აკად. ი. ბერიტაშვილის მოხსენებამ. მან გასაგებად გადმოსცა რთული პრობლემა დიდი ტვინის ელექტრული აქტივობის შესახებ და ის მნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგები, რომლებიც მიღებულ იქნა ოსცილოგრაფიის გამოყენებით სამხედრო ჰოსპიტლებში.

აკად. ნ. კეცხოველმა თავის მოხსენებაში „ბუნებრივი საფრის გამოყენება სამამულო ომის პირობებში“, მოიყვანა თვალსაჩინო მაგალითები მცენარეული საფრის გამოყენებისა სამამულო ომის მიზნებისათვის.

პროფ. გ. გულისაშვილმა თავის მოხსენებაში მოიყვანა ახალი ფაქტები მთრგმელავ ნივთიერებათა, გუტაპერჩის, ძმრის მეავის და ტექნიკური მერქნის გამოსაელიანობის შესაძლებლობისა ომის გადიდებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

დოც. გ. შანშიაშვილის მოხსენება კურკოვანი მცენარის თესლის გლიკოზების და ნაზარდების ზრდის შესახებ სოფლის მეურნეობისათვის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე იყო, ის არკვევდა თესლის 100 პროცენტით გლიკოზების პირობებს.

ისტორიის სექციაზე მოსმენილ მოხსენებებიდან აღსანიშნავია მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების პროფ. გ. ნათაძის და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის, პროფ. ნ. დუბროვსკის, დოც. მ. ბერძენიშვილის, დოც. ა. კიკვიძის მოხსენებები. ინტერესით იქნა მოსმენილი დოც. ი. ხუციშვილის მოხსენება თემაზე „700 წელი გერმანელ ქოფაკრაინდთა განადგურებიდან“.

ლიტერატურის სექციაში დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი პროფ. შ. ნუცუბიძის, პროფ. ალ. ბარამიძის, პროფ. ს. დანელიას, დოც. ტრ. რუხაძის, გ. აბზიანიძის, ა. ნიკოლაძის, პ. ბერაძის, პ. ალპატოვის და ქს. სიხარულიძის მოხსენებები.

საენათმეცნიერო სექციაზე მოსმენილ იქნა აკად. ა. ჩიქობავას, პროფ. ვ. თოფურიას, დოც. ელ. ფანჩვიძის, ასპ. თ. შარაძენიძის ფრიად მნიშვნელოვანი მოხსენებები. მათ მიერ განვითარებული დებულებანი, სპეციალისტთა აზრით, წარმოადგენენ მნიშვნელოვან მიღწევას ენათმეცნიერებაში.

ეკონომიკის სექციაზე მოსმენილი პროფ. პ. გუგუშვილის, დოც. ი. ბაჯაძის, დოც. ა. გოკიელის და სხვ. მოხსენებები სერიოზულად იყვნენ დამუშავებულნი და სათანადო ინტერესით იქნენ მოსმენილნი.

იურიდიული ფაკულტეტიდან წარმოდგენილი იყო პროფ. ი. ტალახაძის, პროფ. ი. სურგულაძის, დოც. ი. მრევლიშვილის, დოც. გ. პოლუმორდვინოვის და თ. წერეთლის მოხსენებები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია წარმატებით და სამამულო ომის სამსახურისადმი მეცნიერული აზრის სრული მობილიზაციის ნიშნით ჩატარდა. სესიაზე გამოტანილი მეცნიერული დებულებანი ახლო მომავალში განხორციელებას ჰპოვებენ ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და კიდევ უფრო მეტად შეუწყობენ ხელს ჩვენს გმირ არმიას სურსათსახოვაგითა და სამხედრო საჭურველით მომარაგებაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული ძალები მუშაობდნენ და კვლავ უფრო მეტი ენერგიით იმუშავებენ სამამულო ომის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გერმანელ ფაშისტთა ხროვის განადგურების დასაჩქარებლად, მის საბოლოოდ მოსასპობად.

დოც. დ. ყიფშიძე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

შავთელის „აბდულ მესიას“ რუსული თარგმანი

ქართული რენესანსის საკითხი საბჭოთა მეცნიერების ინტენსიური კვლევა-ძიების ობიექტად იქცა. ამ მხრივ ნაყოფიერ მეცნიერულსა და შემოქმედებითს მუშაობას ეწევა პროფ. შალვა ნუცუბიძე, რომელმაც „ვეფხის ტყაოსნის“ შესანიშნავი რუსული თარგმანის შემდეგ მოგვცა ჩახრუხაძის „თამარიანის“ ასევე ბრწყინვალე რუსული თარგმანი. ეს თარგმანი ახლა უკვე ბეჭდვის პროცესშია და მალე გამოვა მთარგმნელის მონოგრაფიით, რომელიც შეიცავს ჩახრუხაძის ეპოქის, პიროვნებისა და მისი პოეტური თხზულების მეცნიერულ ანალიზს.

უკანასკნელ ხანებში პროფ. შ. ნუცუბიძე მუშაობდა ქართული რენესანსის ერთ-ერთი უნიკალური წარმომადგენლის შავთელის „აბდულ მესიას“ რუსულ თარგმანზე. ეს პოეტური ძეგლი — შავთელის „აბდულ მესია“ მიჩნეულია, როგორც მე-12 საუკუნის ქართული პოეზიის ფუძემდებელი ნაწარმოები და გასაგებია ის მნიშვნელობა, რომელიც მას ენიჭება საერთოდ ქართული რენესანსის პოეზიის შესწავლისა და დამუშავების საქმეში.

პოემის რუსული თარგმანი უკვე დამთავრებულია. პროფ. შ. ნუცუბიძემ „აბდულ მესია“ გადათარგმნა ორიგინალის ზომით, დაიცვა შინაგანი და დაქტილური რითმა. ამავე დროს, არის თანშიმდევნო რითმის შემთხვევებიც, მაჯამები, ისე რომ ორიგინალის მთელი პოეტური ორკესტრობა გადმოცემულია რუსულ თარგმანში.

საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: მთარგმნელმა წაიკითხა და გადათარგმნა პოემის დღემდე ამოუცნობი სტროფები; ეს იძლევა ორიგინალში და თარგმანში ამ სტროფების არა მარტო წაკითხვის, არამედ გაგების საშეალებასაც. პროფ. შ. ნუცუბიძის დაკვირვებით, ეს ძეგლი ძირითადად წარმოადგენს შავთელის „აბდულ მესიას“, მაგრამ ამავე დროს მას დართული აქვს ზოგიერთი ტაეპები დღემდე უცნობი რომელიღაც თხზულებიდან. მთარგმნელის აზრით, ეს თხზულება უნდა იყოს თამარისა და დავით სოსლანის ქება, თვით თამარის თანამედროვე რომელიღაც პოეტის მიერ დაწერილი. ჩართული სტროფები გვხვდება როგორც პოემის შიგნით, ისე ბოლოში. ასეთია პროფ. შ. ნუცუბიძის მოსაზრება.

შავთელის „აბდულ მესიით“ პროფ. შ. ნუცუბიძემ დაამთავრა ქართული რენესანსის პოეზიის შემონახული ძეგლების რუსულ ენაზე გადათარგმნა და ამგვარად ე